

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
პროფესიულ საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი N3

ქ. თელავი

09.02.2024 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი - კომისიის თავმჯდომარე - ტარიელ გალახვარიძე

ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - სოფიო ოხანაშვილი;

თეა ძულიაშვილი - კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ნათია ქარჩაიძე - არასამთავრობო ორგანიზაცია „თელავის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი“ს დამფუძნებელი - კომისიის წევრი;

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე რანგის პროფესიული საჯარო მოხელის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე დასაკავებლად გამოცხადებულ ღია კონკურსის მეორე ეტაპის - (გასაუბრება) ჩატარების შესახებ.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ სოფიო ოხანაშვილმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ გასაუბრებაზე გამოცხადდა კონკურსანტი. (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის) .

თითოეული კომისიის წევრის მიერ კონკურსანტის მიმართ გაკეთდა შეფასებები.

აზრი გამოთქვეს: ნ. ქარჩაიძემ აღნიშნა, რომ კონკურსანტმა ნანა ხვისტანმა ამომწურავად უპასუხა შეკითხვებს. კომისიის თავმჯდომარემ კი აღნიშნა, რომ კონკურსანტის მხრიდან გამოვლინდა მოტივაცია, რაც აუცილებელია პროფესიული საჯარო მოხელისათვის.

კომისიის წევრების მიერ ერთხმად აღინიშნა, რომ გასაუბრებაზე გამოცხადებული კანდიდატის მონაცემები შეესაბამება გამოცხადებული კონკურსის სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებს.


კომისიამ ინდივიდუალური შეფასებებიდან გამომდინარე გააკეთა საბოლოო შეფასება, კანდიდატი შეფასდა 40 ქულით (დანართი N1).

გადაწყვიტეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე რანგის პროფესიული საჯარო მოხელის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დასანიშნად საკრებულოს თავმჯდომარეს წარედგინოს ნანა ხვისტანის კანდიდატურა.

2. კანდიდატს, რომელმაც წარმატებით გადალახა კონკურსის მეორე ეტაპი და კონკურსის საბოლოო შედეგით გამოვლინდა გამარჯვებულად, 5 (ხუთი) დღის ვადაში ეცნობოს მის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

3. კონკურსის მეორე ეტაპის (გასაუბრება) - კომისიის სხდომის ოქმი
განთავსდეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-
გვერდზე : www.telavi.gov.ge

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის
უფროსი - კომისიის თავმჯდომარე




ტარიელ გალახვარიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი,
ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების
უფროსი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე



სოფიო ოხანაშვილი

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
კომისიის წევრი



თეა მულიაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია „თელავის განათლების,
განვითარების და დასაქმების ცენტრი“ს დამფუძნებელი
- კომისიის წევრი



ნათია ქარჩაიძე